პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 174 (13259) | კვირა, 25 ივლისი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

25 ივლისი სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეა

დიდება სამხედრო მეზღვაურებს!

შავი ზღვის ფლოტი. საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსნები ბეჟან გორგაძე და გრიგოლ ჰოხონელიძე.

ფოტო ი. ჰოხონელიძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ხალხი აღიდებს გმირ მეზღვაურებს

ღირსეული ჯილდოები გადაეცათ გმირ ქალაქ სევასტოპოლსა და სახელოვან საბჭოთა საზღვაო ფლოტებს

სევასტოპოლი, 24 ივლისი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს აქ მატროსთა клუბში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა გმირ ქალაქ სევასტოპოლისა და შავი ზღვის ფლოტისათვის საპატიო ჯილდოების გადაცემას.

მეკუბარე ტაშის გრიალში სსკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, სსკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. ფ. პოდგორნიმ გმირ ქალაქ სევასტოპოლის დროშას მიაბნია ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი", ხოლო შავი ზღვის ფლოტის საბრძოლო დროშას — წითელი დროშის ორდენი.

სიტყვა წარმოთქვა ნ. ვ. პოდგორნიმ. მან გულთბილად მიულოცა სევასტოპოლელებს და მეზღვაურებს მთავრობის ჯილდოები.

სსკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა პ. ე. შელესტმა, შავი ზღვის ფლოტის სარდალმა ადმირალმა ს. ე. ჩურსინმა და სხვებმა თავიანთ სიტყვებში მხურვალე მადლობა გადაიხადეს ჯილდოებისათვის, დიდი სამამულო ომის წლებში სევასტოპოლის მშრომელებისა და შავზღველ მეზღვაურთა გმირობის დიდი დაფასებისათვის.

ბალტიისპირეთი (კალინინგრადის ოლქი), 24 ივლისი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს აქ სამხატვრო თეატრში გაიმართა საზეიმო კრება ბალტიის ფლოტისათვის მეორე წითელი დროშის ორდენის გადაცემის გამო თვალსაჩინო საბრძოლო დამსახურებისათვის. გმირობისა და მამაცობისათვის, რაც მეზღვაურებმა გამოიჩინეს დიდ სამამულო ომის წლებში, და თანმისტყორ გერმანიაზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების 20 წლისთავის აღსანიშნავად.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა სსკპ ცენტრალური კომ-ტეტის პრეზიდიუმის წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა.

საბჭოთა მთავრობის მეთაურმა დამსწრეთა ტაშის გრიალში ნითელი დროშის ორდენი მიაბნია ბალტიის ფლოტის საბრძოლო დროშას. ორგზის წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის წარმომადგენლებმა მადლობა უძღვნეს კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას.

გაიმართა სამხედრო ხომალდების პარადი და მასობრივი სპორტული გამოსვლები.

სევერომორსკი, 24 ივლისი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს ჩრდილოეთის ზღვის სამხედრო მეზღვაურთა საზეიმო კრებაზე სსკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი წევრმა, სსკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. ნ. შელეპინმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით წითელი დროშის ორდენი გადასცა ჩრდილოეთის ფლოტს, რომელიც დაჯილდოდა თვალსაჩინო დამსახურებისათვის სამშობლოს წინაშე, მასობრივი გმირობისათვის, თავდადებული შეუდრეკლობის, მამაცობისა და მაღალი საბრძოლო აქტიურობისათვის, რაც ჩრდილოეთის ფლოტის მეზღვაურებმა გამოიჩინეს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში საბჭოთა იმპერიალისტურ ომის დაცვის დროს, და გამარჯვების 20 წლისთავის აღსანიშნავად.

ამხანაგმა ა. ნ. შელეპინმა კრებაზე წარმოთქვა სიტყვა.

ვლადივოსტოკი, 24 ივლისი. (საქდესი). დღეს ვლადივოსტოკში გაიმართა საზეიმო კრება წყნარი ოკეანის ფლოტისათვის წითელი დროშის ორდენის გადაცემის გამო. საბრძოლო ორდენით ფლოტი დაჯილდოებულია მამაცობისა და შეუპოვრობისათვის, რაც წყნარი ოკეანის მეზღვაურებმა გამოიჩინეს სოციალისტური სამშობლოს დაცვის დროს, და დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 20 წლისთავის აღსანიშნავად.

საზეიმო კრებაზე სიტყვა წარმოთქვა სსკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, სსკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიუროს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ პ. პ. კირილენკომ.

კრებაზე გამოვიდნენ წყნარი ოკეანის ფლოტის ვეტერანები, რომლებმაც მადლობა უძღვნეს პარტიასა და საბჭოთა მთავრობას წარსული ომის წლებში მათი საბრძოლო მოქმედების მაღალი შეფასებისთვის.

საზეიმო კრების შემდეგ გაიმართა დიდი სპორტული დღესასწაული.

ბრძანება

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

№ 209 1965 წლის 25 ივლისი ქ. მოსკოვი

ამხანაგო მატროსებო და ჯარისკაცებო, ზემდეგებო და სერჟანტებო!

ამხანაგო ოფიცრებო, ადმირალებო და გენერლებო!

ამხანაგო გემთსაშენებელი მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო!

დღეს საბჭოთა ხალხი და მისი მამაცი შეიარაღებული ძალები დღესასწაულობენ სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს.

ამ ტრადიციულ დღესასწაულს საბჭოთა კავშირის მშრომელები აღნიშნავენ სკკპ პროგრამის განხორციელებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ვითარებაში.

ჩვენი ხალხი, რომელიც თავდადებულად იბრძვის კომუნისტური მშენებლობის დიად ამოცანათა განხორციელებისათვის, უაღრესად დაინტერესებულია დედამიწაზე მშვიდობის შენარჩუნებითა და განმტკიცებით. საბჭოთა სახელმწიფო განუხრელად ცხორციელებს ლენინურ მშვიდობიმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, მტკიცედ იბრძვის მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში.

მაგრამ მსოფლიო რეაქცია და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები უგულებელყოფენ ხალხთა მისწრაფებებს და ქმნიან დაძაბულობის ახალ კერებს. ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალები განაგრძობენ ინტერვენციას სამხრეთ ვიეტნამში, ბარბაროსულად ბომბავენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიას, არ წყვეტენ პროვოკაციებს სხვა ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებიც ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას ეწევიან.

ამ პირობებში კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ კიდევ უფრო განამტკიცონ საბჭოთა სახელმწიფოს, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის თავდაცვითი ძლიერება, რომლებიც მუდამ მზად არიან საკადრისი პასუხი გასცენ ყოველ აგრესორს.

შეიარაღებული ძალების მეომართა წმიდათა-წმიდა მოვალეობაა ყოველდღიურად სრულყონ თავიანთი საბრძოლო ოსტატობა, გაადიდონ სიფხიზლე და საბრძოლო მზადყოფნა.

შეიარაღებული ძალების მეომართა ზეადამიანური ძალისხმევა, ოფიცრებისა, სერჟანტებისა, ზემდეგებისა და ჯარისკაცებისა, ინჟინერ-ტექნიკოსებისა, ინჟინერ-ტექნიკოსებისა, ინჟინერ-ტექნიკოს

საბჭოთა მეზღვაურების დღესასწაული

სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარსარდალი, ფლოტის ადმირალი სერგი გორშკოვი.

დამხედრო-საზღვაო ფლოტის დღე — მთელი საბჭოთა ხალხის ტრადიციული ზეიმი — წელს განსაკუთრებით საგულისხმოა. მას ვდღესასწაულობთ სამამხსოვრო თარიღის — ფაშისტურ გერმანიაზე დიადი გამარჯვების სახელოვანი მეოცე წლისთავის შემდეგ, რომელიც მთელმა თავისუფლებისმოყვარე კაცობრობამ აღნიშნა.

ამ ზეიმის დღეებში ყველა ჩვენს ფლოტს სამშობლოს წინაშე თვალსაჩინო დამსახურებისათვის, გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში მამაცობისა გმირობის, მამაცობისა და უმაგალითო სიმტკიცისათვის მაღალი ჯილდოები მიენიჭა. ახლა ჩრდილოეთის, წყნარი ოკეანის, შავი ზღვის ფლოტები და კასპიის ფლოტილია წითელი დროშის ორდენოსნები არიან, ხოლო ბალტიის ფლოტი — წითელი დროშის ორგზის ორდენოსანი. წითელი დროშის ორდენები, რომლებიც ჩვენი ფლოტების საბრძოლო დროშებს ამკობენ, საბჭოთა მეზღვაურების ბევრ თაობას გაახსენებს უფროს თაობათა საგმირო საქმეებს.

საბჭოთა კავშირი დიდი საზღვაო სახელმწიფოა. მის საზღვაო საზღვრებს მეზღვაურები იცავენ. ისინი ერთი წუთითაც არ ივიწყებენ, რომ მშვიდობისა და პროგრესის მტრები — იმპერიალისტები, უწინარეს ყოვლისა ამერიკელი იმპერიალისტები, კვლავ მიმარ-

ზღვის არწივი

ქორის ბუდესავით მიგრეული არაბელის ხეობის მარჯვენა კალთაზე სოფელი ლანერი.

1912 წელს ამ სოფლის მკვიდრს კ. იოსელიანს შეეძინა ვაჟი, რომელსაც იაროსლავი დაარქვეს.

ათიოდე წლისა იყო იაროსლავი, როცა მამამისმა დატოვა მესტიის რაიონი და აფხაზეთის სანაპიროში აფარანი დასახლდა. მალე იაროსლავი გაგრაში წაიყვანეს და შვიდწლიან სკოლა-ინტერნატში მიაბარეს. შემდეგ მან სწავლა გააგრძო სოხუმის პედაგოგიურ ტექნიკუმში. იაროსლავს მუდამ ზღვა იზიდავდა, ამიტომ მიატოვა ტექნიკუმი და ფრუნზეს სახელობის სამხედრო-საზღვაო სკოლებელში შევიდა. ეს ის დრო იყო, როდესაც ჩვენი ახალგაზრდა სამხედრო-საზღვაო ფლოტი იწრთობოდა, ახალი ხომალდებითა და ახალი კადრებით ივსებოდა.

1938 წელს ლეიტენანტი ი. იოსელიანი შავი ზღვის ფლოტის ერთერთ წყალქვეშა ნავზე შტურმანად დაინიშნა. და დიდი სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე იაროსლავმა უშიშარი და გამბედაობა მეზღვაურია სახელი მოიპოვა. 1942 წელს იგი წყალქვეშა ნავის მეთაური გახდა. მალე იაროსლავმა ტორპედის სროლის ფლოთარელი ოსტატის სახელი მოიხვეჭა. მას შეაინიშნავდ ეხერხებოდა მტრის ხომალდების მონახვა და დარტყ�-თვის შეაფერური დროის შერჩევა.

როდესაც იოსელიანის ნავმა მტრის მეათე ხომალდი ჩაძირა, შავი ზღვის ფლოტის პოლიტგანყოფილებამ გამოსცა დიდი პლაკატი — სუროათი. — „წყალქვეშა ნავის მეთაური მაიორი რანგის კაპიტანი ი. იოსელიანი".

პლაკატი მოუწოდებდა მებრძოლებს: „ამხანაგებო, წყალქვეშა ნავის გაგებული და მედგარი მეთაურის, მაიორ რანგის კაპიტანის ამხ. იოსელიანის მაგალითისადმი ერთგულებით თქვენი საბრძოლო ოსტატობა, თავის დროზე მონახეთ, მიიტანეთ იერიში და მოსპეთ მტერი. მიაღწიეთ ახალ საბრძოლო წარმატებებს. სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს".

1944 წლის თებერვალში სამხედრო გაზეთი წერდა:

„1942 წლის 27 ნოემბერს ი. იოსელიანმა თავისი წყალქვეშა ნავით მტრის პირველი გემი ჩაძირა. ახლა კი მის ანგარიშზე ითვლება მტრის 13 გემი. ერთ გემზე მტრის მე-8 ტანკი იყო. ახლა ეს ტანკები ზღვის ფსკერზეა. ამ 13 გემზე 10.000 ჯარისკაცი და ოფიცერი იყო, ისინი ზღვის ფსკერზე ყრიან".

მრავალი განსაცდელი გამოუვლია წყალქვეშა ნავს, რომელსაც იაროსლავი მეთაურობდა. მათგან იგი ასეთი ეპიზოდს იგონებს. შავ ზღვაში ამოფაჩინეთ „ტრის" ერთი სიმაგრე, რომელშიც საბრძოლო საშუალებათა ყოველგვარი სახით დაცული მტრის ხუთი კატერი და რამდენიმე ბარკა თავს უწრუპავენდ გრძნობდა. ჩვენი ნავი გაუფრთხილებლად დაცვას, შეიჭრა სიმაგრეში, დაუყოვნებლივ დაატორპედა მტრის ხუთივე კატერი და რამდენიმე ბარკა. დარტყმა ისეთი ძლიერი იყო, რომ ხომალდებს ცეცხლი გაუჩნდათ. ფაშისტებმა ყოველგვარი საშუალება იხმარეს ნავის გასანადგურებლად, იმ უბანზე ზღვაში ჩაგდეს საღრმეში მოქმედი 84 ბომბი, ხოლო ირგვლივ თითქმის მთელი ტერიტორია დანაღმული იყო წყალქვეშა ნაღმებით. ყუმბარების ნამსხვრევებმა რამდენიმე ადგილას დააზიანეს ნავი და წყალმა შესვლა იწყო, ნავზე ჩაქრა ელექტროშუქი.

სწორედ ამ მოვლენაში გამოიხატა ყველაზე უკეთესად იაროსლავის რკინისებური ნებისყოფა. მან მიმართა ეკიპაჟს: „წყალქვეშა ნავზე მთელი ეკიპაჟი ერთ ბედს ვიზიარებ. თვითეული ადამიანი ნავის გადარჩენისათვის, უდიდესი ენერგიით, ადამიანური ძალით, ნავი — ეს ცოცხალია. — მასში მოუფიქრებლად ... ... — მართალია, ...

საქართველოს ხმა

არჩეულია რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

ბუქარესტი, 24 ივლისი. (საკდესი). რუმინეთის კომუნისტური პარტიის IX ყრილობის სამშრომლო სხდომაზე გამოაცხადეს რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისიის არჩევნების შედეგები. არჩევნები გაიმართა გუშინ დახურულ სხდომაზე.

გაიმართა ცენტრალური კომიტეტის პირველი პლენარული სხდომა, რომელზეც აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობაში აირჩიეს 15 წევრი. და 10 კანდიდატი.

პლენუმმა ერთსულოვნად აირჩია რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნად ნიკოლაე ჩაუშესკუ. კიევ სტოიკა, ი. გ. მაურერი, გ. აპოსტოლი, ა. ბირლადიანუ, ე. ბოდნარაში, ა. დრეგიჩი.

რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს შემადგენლობაში შეიყვანენ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ნ. ჩაუშესკუ, ცენტრალური კომიტეტის მდივნები ა. დრეგიჩი, ა. მოგიოროში, მ. დალია, მ. მენესკუ, პ. ნიკულესკუ-ბიზელი, ვ. პაპილიანეცი, ლ. რეუტუ და ვ. ტროფინი.

ცენტრალური პარტიული კოლეგიის თავმჯდომარედ არჩეულია დ. კოლიუ. ცენტრალური სარევიზიო კომისიის პირველ სხდომაზე მის თავმჯდომარედ არჩეულია კ. პირვულესკუ.

პარტიზანთა იერიში

ნიუ-იორკი, 23 ივლისი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამელმა პარტიზანებმა გუშინ იერიში მიიტანეს ამერიკის ჯარების პოზიციებზე ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების ბიენ-ჰოის ბაზის მახლობლად.

თეთრ სახლში თათბიროგენ

ვაშინგტონი, 24 ივლისი. (საკდესი). პრეზიდენტმა ჯონსონმა პენტაგონს გამოუგზავნა მისაცა დღეს და კვირას სპეციალურად შეისწავლოს დამატებითი ძალების საკითხი, რომლებიც შეიძლება დასჭირდეს ამერიკის სხვადასხვა გვაროვნობის ჯარს სამხრეთ ვიეტნამში, განაცხადა გუშინ თვითონ სახლის წარმომადგენელმა პრესა-საკითხებში ბილ მოიერსმა.

სამხრეთ ვიეტნამში შეიარაღებული ძალების გადიდების საკითხის „სპეციალური შესწავლის“ შესახებ გადაწყვეტილება გამორჩეულია რეკომენდაციებით, რომლებიც ჯონსონს მისცა საიგონიდან ახლახან დაბრუნებულმა თავდაცვის მინისტრმა მაკნამარამ და შეერთებული შტატების მთავრობის ხელმძღვანელ სამოქალაქო და სამხედრო პირთა იმ თათბირის რეკომენდაციებით, რომლებიც სამ დღეს მიმდინარეობდა თეთრ სახლში.

როგორც მოიერსმა თქვა, საიგონიდან ჩამოსული მაკნამარა იმით „ასაბუთებს“ სამხრეთ ვიეტნამში ამერიკის ჯარების რიცხვის გაზრდის საჭიროებას, რომ „ჩრდილოეთი ვიეტნამი კვლავ განაგრძობს და აფართოებს აგრესიას“.

მინისტრებთან და ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვაგვარობია ჯარის შტაბების უფროსებთან თათბირის შემდეგ პრეზიდენტმა ჯონსონმა გუშინ სახელმწიფო მდივანთან რასკთან, მაკნამარასთან და თეთრი სახლის მრჩეველებთან ერთად იმსჯელა „არმიაში გაწვევის გაფართოების“ საკითხზე.

როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, ამ საკითხს „გულდასმით შეისწავლიან“ დღეს და კვირას.

სიკვდილი ამჯობინეს

ლონდონი, 24 ივლისი. (საკდესი). 39 ახალგაზრდა სამხრეთვიეტნამელი დაიხრჩო მდინარეში საიგონის ახლოს. ისინი სამხედრო სამსახურში გაყვანის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად გადაცვივდნენ ხომალდიდან წყალში და დაიღუპნენ ამას იუწყება საიგონიდან რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი.

ხომალდს, რომელშიც 300-ზე მეტი ახალგაზრდა იყო, უნდა ჩაეყვანა ისინი ბანაკში სამხედრო მომზადების გასავლელად. როგორც კი საიგონიდან გავიდა ხომალდი, ახალგაზრდა სამხრეთვიეტნამელებმა მოაწყვეს პროტესტის აქცია ბინძურ ომში მონაწილეობისათვის გაგზავნის წინააღმდეგ. 50 კაცში, რომლებიც ხომალდიდან გადაცვივდნენ, პატრულმა გადაარჩინა მხოლოდ 11.

მონკადის გმირობა

1953 წლის 26 ივლისს დაიწყო სახალხო რევოლუცია კუბაში

ყველა ქვეყნის ისტორიაში არის დღე და საათი, რომელიც სამუდამოდ რჩება ხალხის ხსოვნაში. გაიცვლის წლები და საუკუნეები და ალბათ სორბონის ყველაზე გულმოდგინე ისტორიკოსებიც კი ვერ აღადგენენ საფრანგეთის ყველა მთავრობის შემქმნისა თუ გადადგომის თარიღებს. მაგრამ ყველა ფრანგს ყოველთვის ემახსოვრება ივლისის ის დღეა როცა უბრალო პარიზელებმა ბასტილია აიღეს. იქნებ სიძველის ზოგიერთმა მოყვარულმა იცის ბევრი ამბავი ჩვენი ქვეყნის ისტორიისა, რომლებიც რუს ობივატელს „არწმუნებდნენ“ ჩვენი საუკუნის დამდეგს, მაგრამ მრავალი საუკუნის შემდეგაც ყველა მოსწავლე თავისუფლად აღადგენს შემოდგომის იმ ღრუბლიანი დღის ამბავს, როცა კრეისერის ზალამა ნევაზე კაცობრიობის ისტორიის ნათელი ერას დასაწყისი გვაუწყა.

ზუსტად ასევე ყველა კუბელის მეხსიერებაში როგორც დღეს, ისე მრავალი წლის შემდეგ, სამუდამოდ აღბეჭდილია 1953 წლის 26 ივლისის გარიჟრაჟი. როცა სანტიაგოს ქუჩებში, რომლებიც უჩვეულოდ ჩუმი იყო ტრადიციული კარნავალის დამთავრების შემდეგ, ჩაქიროლა რამდენიმე ავტომანქანამ. — ახალგაზრდა პატრიოტთა პატარა რაზმმა, რომლებმაც გადაწყვეტეს იერიშით აეღოთ დიქტატორის ერთ-ერთი ციხე-სიმაგრე და ამით მთელი ერისათვის მიეცათ აჯანყების ნიშანი.

კუბის რესპუბლიკის დედაქალაქი — ჰავანა.

სამშობლოს ალმები. (საკდესის ფოტოქრონიკა).

მონკადის ყაზარმების იერიშით დაიწყო კუბელი ხალხის შეიარაღებული ბრძოლა ბატისტას დიქტატურის წინააღმდეგ. ამ ბრძოლის მიზნები ჩამოაყალიბა პატრიოტთა ხელმძღვანელმა. ფიდელ კასტრომ ისტორიულ სიტყვაში, რომელიც მან სასამართლოში წარმოთქვა და დაამთავრა „წინასწარმეტყველური სიტყვებით, ისტორია გამამართლებსო. ეს მიზნები იყო კუბის ნახევრადკოლონიური დამოკიდებულების ლიკვიდაცია, ლატიფუნდიების მოსპობა და მიწის გადაცემა იმათთვის, ვინც მას ამუშავებს, ინდუსტრიალიზაცია, ბინის ქირის შემცირება და ახალი ბინების მშენებლობა, უმუშევრობის ლიკვიდაცია, ხალხის განათლებისა და სამედიცინო მომსახურების საქმის ძირეული რეფორმა.

მაშინ, თორმეტი წლის წინათ, ყოველივე ამას ვერ მიაღწევს. საჭირო გახდა ძნელი და მძიმე ბრძოლის წლები — პარტიზანთა რაზმების ბრძოლები მთებში, არალეგალური მუშაობა ქალაქებსა და სოფლებში. პირველი თავისუფალი ტერიტორიების შექმნა, და, ბოლოს აჯანყებულთა არმიის კოლონების ძლევამოსილი იერიში კუნძულის აღმოსავლეთ ნაწილიდან დასავლეთისაკენ, მშრომელთა საყოველთაო გაფიცვა, — რათა პრაქტიკულად შედგომოდნენ ამ მიზნების განხორციელებას.

რევოლუციის გამარჯვების შემდეგ კუბა მთელ მსოფლიოში გახდა ცნობილი. ახლა ყველა კონტინენტზე კარგად იციან, თუ რა ხდება ამ პატარა კუნძულზე, რომელსაც წინათ მხოლოდ გეოგრაფიის მოყვარული და შორეული ნაოსნობის კაპიტნები იცნობდნენ. მოკლე ისტორიული დროის მანძილზე კუბაში განხორციელდა ძირეული გარდაქმნები ეკონომიური, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში. სამუდამოდ მოისპო უცხოელთის მონოპოლიებისა და მათი კუბელი მოკავშირის — ადგილობრივი ბურჟუაზიულ-ლატიფუნდისტთა ოლიგარქიის ეკონომიური ბატონობა. ნაციონალიზებულია სამრეწველო საწარმოები, ბანკები, მსხვილი ვაჭრობა, ტრანსპორტის საშუალებანი. ლატიფუნდიების მიწები. ამერიკის კონტინენტის ისტორიაში მშრომელებმა პირველად დაამტკიცეს პრაქტიკულად, რომ უნარი შესწევთ თვითონ უხელმძღვანელონ ქვეყნის ეკონომიას. მშრომელთა სახელმწიფოს ხელში გადავიდა წარმოების ძირითადი საშუალებანი, განხორციელდა ორი აგრარული რეფორმა სოფლად, ამან პირობები შექმნა კუბის ეკონომიკის განვითარებისათვის. დასავლეთ ნახევარსფეროში კუბა პირველი შეუდგა სოციალიზმის მშენებლობას.

უკვე ახლა, სახალხო რევოლუციის გამარჯვების სულ რამდენიმე წლის შემდეგ, კუბა გახდა მკაფიო მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება წარმატებით გადაიჭრას ბევრი მძიმე სოციალური პრობლემა, რომელებიც ტიპიურია ლათინური ამერიკის ყველა ქვეყნისათვის. აგრარული რეფორმების შედეგად მიწა მიიღო მან, ვინც მას ამუშავებს. კუნძულზე ფაქტიურად აღარ არის უმუშევრობა, უმაგალითოდ მოკლე დროში მოისპო უწიგნურობა, უდიდესი გაქანებით ვითარდება მთელი ხალხის განათლების საქმე. ბევრი რამ გაკეთდა ხალხის ჯანმრთელობის დაცვის განვითარებისათვის. შეიქმნა პირობები მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების უმაგალითო აყვავებისათვის.

და ყველაფერი ეს მიღწეულია იმ უაღრესად ძნელ პირობებში, როცა კუბის მძლავრმა იმპერიალისტურმა მეზობელმა — ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ეკონომიური ბოიკოტი მოაწყვეს და განუწყვეტლივ ახორციელებდნენ აგრესიულ აქტებსა და პროვოკაციებს ძის წინააღმდეგ. ყველაფერს ამას მიაღწევს თვით კუბელი ხალხის გმირობისა და მამაცობის შედეგად, აგრეთვე საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ინტერნაციონალური სოლიდარობისა და ძმური დახმარების შედეგად. როგორც ფიდელ კასტრომ აღნიშნა მიმდინარე წელს ერთ-ერთ სიტყვაში, პატარა, იმპერიალისტების მიერ ბლოკირებული ქვეყნის პირობებში ასეთი გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა, რომ მისთვის გადამწყვეტი დახმარება არ გაეწიათ სსრ კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებს.

წელს სულ უფრო შესამჩნევია კუბის წარმატებანი სოციალისტური მშენებლობის ძირითად ფრონტზე — ეკონომიკის დარგში. მთელმა ხალხმა, რომელსაც მეთაურობს კუბის სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტია, დაძაბული შრომის შედეგად მიაღწია დიდ გამარჯვებას კუნძულის ეკონომიკის მთავარ დარგში — შაქრის წარმოებაში. კუბის მთელი ისტორიის მანძილზე ჯასულ სეზონში მეოთხეჯერ არის წარმოებული ექვსმილიონზე მეტი მტკრული ტონა შაქარი.

ამიტომ მონკადის იერიშის მორიგ, უკვე მეთორმეტე წლისთავს კუბა ეგებება განსაკუთრებული სიხარულის, აღმავლობის ვითარებაში. და შემთხვევითი როდია, რომ წელს შეიცვალა ამ ბოლო წლებში შექმნილი ტრადიცია და დღესასწაულის ცენტრი იქნება არა კუბის დედაქალაქი ჰავანა, არა სახტიაგო, სადაც მონკადა მდებარეობს, არამედ სანტა-კლარა — ლას-ვილიასის პროვინციის მთავარი ქალაქი კუბაში სანტა-კლარა გაძარჯვების სიმბოლოა. ამ ქალაქის აღება 1958 წლის დეკემბერში აჯანყებულთა არმიის ერთ-ერთი კოლონის მებრძოლთა მიერ, რომლებსაც მაიორი ერნესტო ჩე გევარა მეთაურობდა, თითქოს უკანასკნელი ზარი იყო ბატისტას დიქტატურის სამოლოო კრახის წინ. მოგვიანებით სწორედ აქ, კუბის ცენტრალურ პროვინციაში პლაია-ხირონთან მთლიანად გაანადგურეს დაქირავებული ინტერვენტები, შემდეგ კი წარმატებით მოსპეს კონტრრევოლუციური ბანდები, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალურმა სადაზვერვო სამართველომ შექმნა. ახლა კი სანტა-კლარა უწინარეს ყოვლისა ინდუსტრიული ცენტრია. აქ მდებარეობს ისეთი დიდი ახალი საწარმოები, როგორიცაა სსრ კავშირის დახმარებით აშენებული მექანიკური ქარხანა და ჩეხოსლოვაკიელ სპეციალისტთა დახმარებით აშენებული საყოფაცხოვრებო ხელსაწყოთა ქარხანა. როცა 26 ივლისს ამ ქალაქში ზეიმზე ჩამოვა კუბის მრავალი სტუმარი, ისინი დაინახავენ, რომ სანტა-კლარა კუბის ეკონომიური მომავლის სიმბოლოა, სიმბოლოა კუბის ძმური მეგობრობისა დიდი სოციალისტური თანამეგობრობის ხალხებთან.

რ. კნიაზევი,
საკდესის კორ.

ჰავანა-მოსკოვი.

რეპლიკა

უხერხული ლაფსუსი

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში [illegible] რობიან სხვა ქრობა [illegible] ლიტერატურის და [illegible] ლებისადმი — [illegible] გაცნონ ამ ერთა კულტურული მონაპოვრები ამ მხრივ გერმანელ მეგობრებს ქართული კულტურისა და ლიტერატურისადმი უყურადღებობას ვერ დავწამებთ.

როგორც ცნობილია, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანის“, ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობების, ლეო ქიაჩელის „გვადი ბიგვას“, ქართული ზღაპრების და სხვა გერმანული თარგმანები. შეძლებისდაგვარად გაშუქებულია ჩვენი რესპუბლიკის კულტურული ცხოვრება დემოკრატიულ გერმანიაში გამოცემულ ენციკლოპედიებსა და ენციკლოპედიურ ლექსიკონებში.

ამ მხრივ ჩვენ, რასაკვირველია, სასაყვედურო არაფერი გვაქვს. მაგრამ გაოცებას იწვევს საკმაოდ პოპულარული გაზეთის „ბერლინერ ცაიტუნგის“ მიერ გამოქვეყნებული ერთ-ერთი ინფორმაციის მეტისმეტად უხერხული ლაფსუსი. ამ ცნობაში ნათქვამია, რომ თბილისში დაიბეჭდა ექვს ტომად ნაკრაფდეთ ქართული ლიტერატურის ისტორიის პირველი ტომი. გაზეთის მიხედვით, ეს ვრცელი შრომა ასახავს ქართული ლიტერატურის განვითარებას მეთხუთმეტე საუკუნის პირველი წლებიდან ბოლოდროინდელ ჟამამდე. ამ ცნობაში ნათქვამია, რომ ბიკმა ცურტაველი, რომელსაც ეკუთვნის წერილობითი ძეგლი „შუშანიკის წამება“, ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნეში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. ამას გარდა, ისევ დემოკრატიულ გერმანიაში გამოქვეყნებულ „ვეფხისტყაოსნის“ გერმანული თარგმანის წინასიტყვაობასა და ბოლოსიტყვაობაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ შოთა რუსთაველის ამ გენიალური პოემის შექმნამდე დიდი ხნით ადრე ქართველებს მდიდარი ტრადიციების მქონე ლიტერატურა ჰქონდათ.

ქართული ლიტერატურის პირველი წერილობითი ძეგლის თარიღის ათი საუკუნეთ გადმოწევა, ვფიქრობთ, ისევ და ისევ ჩვენი გერმანელი მეგობრების ქართველ სპეციალისტებთან უკონტაქტობის შედეგია, რამაც სხვა, შეცდომებიც გამოიწვია. ამ შეცდომებზე ჩვენ თავის დროს ამავე გაზეთში ვწერდით.

ნ. კაკაბაძე,
ნ. რუხაძე.

მმართველი პარტიის დამარცხება

ტოკიო, 24 ივლისი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ზაცეპინი იუწყება:

ტოკიოს მუნიციპალური კრების არჩევნები, რომელიც გუშინ გაიმართა, მმართველი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ახალი დამარცხებით დამთავრდა. აქ გამოქვეყნებული ცნობების თანახმად, ლიბერალ-დემოკრატებმა დაკარგეს 31 ადგილი, წინანდელ შემადგენლობაში მათ ჰყავდათ 69 დეპუტატი. პირველი პარტია დედაქალაქის კრებაში გახდა ყველაზე დიდი ოპოზიციური პარტია — სოციალისტური.

ხეუპაჩინის სესია

ბელგრადი, 23 ივლისი. (საკდესი). დღეს ბელგრადში გაიხსნა იუგოსლავიის სპეციალური საუბრების სესია. დღის წესრიგში იუგოსლავიის ეკონომიური განვითარების საკითხები.

ატომური აფეთქება

ნიუ-იორკი, 23 ივლისი. (საკდესი). გუშინ ნევადის შტატში ატომური პოლიგონზე განხორციელდა ატომური მოწყობილობის მორიგი მიწისქვეშა აფეთქება. ამას იუწყებიან ამერიკის საინფორმაციო სააგენტოები.

არც ახლა აპირებენ...

პარიზი, 24 ივლისი. (საკდესი). საფრანგეთის მთავრობა არც ახლა აპირებს მონაწილეობა მიიღოს „საერთო ბაზრის“ ქვეყნების მინისტრების სხვაგზის სესიაში, რომელიც 26 ივლისს უნდა გაიხსნას ბრიუსელში. საფრანგეთის ეს პოზიცია დაადასტურა გუშინ საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართულ პრეს-კონფერენციაზე საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის განყოფილების ხელმძღვანელმა ლებელმა.

უპასუხა რა კითხვაზე ევნეკვაში 18 სახელმწიფოს. განიარაღების კომიტეტის მუშაობის განახლების შესახებ, ლებელმა განაცხადა, რომ საფრანგეთი არ მიიღებს მონაწილეობას კომიტეტის მუშაობაში.

ასეც ხდება!

დასამალავ ადგილი მიაგნო

ვინმე პატრიკ მერფი წელიწადზე მეტ ხანს მუშაობდა ზედამხედველად ამერიკის ქალაქ ფენიქსის საპყრობილეში. მიუხედავად ამისა, რომ სხვებზე ცუდად როდი ირთვედა თავს საქმეშოს, ციხის უფროსს თვალში ეცა ერთი გარეგნობა: პატრიკი, სხვებისაგან განსხვავებით, ხელფასის მომატებას არ თხოულობდა. ეს უფროსს საეჭვოდ ეჩვენა. გადაწყვეტა უფრო ახლო გაცნობოდა ამ მორიდებულ ზედამხედველს. და რა გამოიკვეა? თურმე პატრიკ მერფი მეზობელი საპყრობილიდან გამოქცეული პატიმარი იყო, რომელსაც დიდი ხანია დაეძებდნენ.

სინდისმა შეაწუხა

ქალაქ ბრისტოლში (ინგლისი) ავტობუსის სადგურის სამმართველომ მიიღო ანონიმური წერილი, რომელიც იუწყებოდა: „ვგზავნი ათ გირვანქა სტერლინგს, ვინაიდან მთელი რიგი წლების განმავლობაში, განსაკუთრებით მაშინ, როცა სკოლაში დავდიოდი, ან სრულებით არ ვიხდიდი ავტობუსით. მგზავრობის ფასს ან ვიხდიდი არასრულად“. თუ როგორ გამოეხმაურნენ წერილს სამმართველოს წევრები, ამაზე გაზეთი „დილი ექსპრესი“, რომელმაც ეს ცნობა გამოაქვეყნა, არაფერს ამბობს.

„გადამთიელები კოსმოსიდან“

ამერიკის პატარა ქალაქ ვესტპოიხტში ცხოვრება ნორმალურად მიმდინარეობდა, რომ უცებ არ გავრცელებულიყო ამაღელვებელი ამბავი: „თავს დაგვესხნენ მარსელები“. სამასი ყველაზე გულადი მამაკაცი, შეიარაღებული ხიბრებითა და კეტებით, მოემზადა მტრის დასახვედროდ. ქალაქის ასობით მცხოვრების ჰხერა ჰიპყობილი იყო ცაზე, საიდანაც ნელა ეშვებოდა სფეროსებრი საგანი. კარგად რომ დაინახეს ციდან მომავალი სხეული, შვებით ამოისუნთქეს, მარსელების ხომალდი აღმოჩნდა... მეტეოროლოგიური ბუნთი — ზონდი.

ხელის ჩამორთმევა მონბლანის ქვეშ

დამთავრდა მონბლანის ქვეშ გვირაბის მშენებლობა, რომელიც საფრანგეთს იტალიასთან აერთებს. ეს მსოფლიოში ყველაზე გრძელი გვირაბია: მისი 11,6 კილომეტრი სტაბობს რეკორდს, რომელიც იაპონელებს ეკუთვნოდათ (გვირაბს კუნძულებს ხონსიუსა და კიუსიუს შუა 9,7 კილომეტრი სიგრძე აქვს).

ტრანსალპურ გვირაბში შესასვლელი საფრანგეთის მხრიდან 1274 მეტრ სიმაღლეზეა ქალაქ შამონის-ახლოს. შორიდან იგი პაჭაწკინტელა მუქ წერტილად ჩანს მთის ფერდობზე. მაგრამ ექვსმეტრიან თაღებქვეშ თავიდან ბოლომდე აუფენია ერთმანეთის გვერდს ორი სატვირთო ავტომობილი, სავალი ნაწილის სიგანე 9 მეტრია.

საფრანგეთის მხრიდან გვირაბი იწყება ფართო რკალით. შემდეგ იგი უნაკლო სწორ ხაზად მიდის ტრანსალპურ გასასვლელამდე ოსტის ხეობის სიღრმეში.

თვით გეოგრაფიამ წინასწარ განსაზღვრა ამ გვირაბის შექმნა. პირველი პროექტები გასულ საუკუნეს განეკუთვნება, მაგრამ რკინიგზის გვირაბამ — სიმპლონისა და ფრეჟუსის გაყვანამ გაურკვეველი დროით გადადო მათი განხორციელება. მაინც 1930 წელს გაჩნდა გვირაბის ახალი პროექტი, ამჯერად საავტომობილო ტრანსპორტისათვის. მის განხორციელებას ხელი შეუშალა დაძაბულმა ურთიერთობამ სახალხო ფრონტის მთავრობასა და მუსოლინის შორის.

ომის შემდეგ ბევრი ეკრძო კომპანია ცდილობდა საზოგადოებრიობის ყურადღება მიეპყრო ამ პროექტისათვის, 1946 წელს რამდენიმე ასი მეტრი სიგრძის გალერიაც კი გაიყვანეს. ბოლოს, 1953 წელს მთავრობათშორისი კომისიის მუშაობა დამთავრდა იმით, რომ ხელმოწერილ იქნა საფრანგეთ-იტალიის კონვენცია მონბლანის ქვეშ გვირაბის გაყვანისა და ექსპლოატაციის შესახებ. შეიქმნა ორი კომპანია — საფრანგეთისა და იტალიისა, რომელთაგან თვითეულმა გვირაბის ნახევრის გაყვანა იკისრა.

მუშაობა დაიწყო 1959 წლის იანვარში იტალიის მხრიდან, ივნისში — საფრანგეთის მხრიდან. იტალიელებს ბედმა არ გაუღიმათ. ვინაიდან მათი უბანი გრუნტის რბილ, წყლის შემცველ ფენებში გადიოდა.

გვირაბის გაყვანა სხვადასხვანაირად წარმოებდა. ფრანგებმა რელსები დაგეგეს. მათზე ბორბლიანი სიღრმეში დაიძრა ოთხსართულიანი სახლის სიმაღლის 100-ტონიანი ფარი, რომელიც კლდეში იჭრებოდა თავისი პნევმატური ბურღებით.

იგი ტრიალებდა და ორ საათში ბურღავდა 130 ოთხმეტრიან შპურს. ცენტრში დიდი ბურღი აკეთებდა განსატვირთავ კორიდორს, რომელიც ქანის მონგრევასა და გამოღებას აადვილებდა. ყოველ აფეთქებისას გვირაბი ოთხი მეტრით მიდიოდა წინ. სადღეღამისო მუშაობისას დღეში გადიოდნენ რვიდან ათამდე მეტრს.

იტალიელებმა უფრო პრიმიტიული ხერხი გამოიყენეს. მარჯვე და მაგარი პიემონტელები, თითო-თითოდ მუშაობდნენ 27-კილოგრამიანი სანგრევი ურიგით. სანგრევის გაწმენდა თვითსაცლელებითა და ტრანსპორტიორებით წარმოებდა გამონაბოლქვი გაზებით მოწამლულ ატმოსფეროში.

სპეციალისტები, რომლებიც უარყოფითად იყვნენ განწყობილნი გვირაბგაყვანის ასეთი მეთოდების მიმართ, წინასწარმეტყველებდნენ ყოველნაირ უბედურებას: მიწისქვეშა წყლების შემოჭრას, ჩაშმშვავებას, ქანის გამოტყორცნას, რომ აღარაფერი ვთქვათ საშინელ სიცხეზე, რომელიც, მათი აზრით, გამეფებულია მთის წიაღში. რა თქმა უნდა, იყო უბედური შემთხვევებიც: ოთხი კაცი დაიღუპა საფრანგეთის უბანზე, თხუთმეტი — იტალიის უბანზე; მათ განაგრძეს ტრაგიკული შემთხვევათა სია, რაც დაიწყო ორი ტოპოგრაფით, რომლებიც მთის აგეგმვის დროს დაიღუპნენ.

1962 წლის 14 აგვისტოს ედმონ ჟისკარ დ' ესტენმა (ფინანსთა მინისტრის მაამ და გვირაბის გამყვანი ფრანგული საკონცესიო კომპანიის მეთაურმა) ცეცხლი წაუკიდა უკანასკნელ ზონარს — ჩამოინგრა ტიხრი, რომელიც ჰყოფდა იტალიელ და ფრანგ ბურღგამყვანებს. ერთი თვის შემდეგ პრემიერ-მინისტრებმა პომპიდუმ და ფანფანმ თავიდან ბოლომდე გაიარეს გვირაბი და მშენებლების წინაშე გამოვიდნენ მოკლე მისასალმებელი სიტყვებით.

გვირაბის მოპირკეთებას ასი ათასი კუბური მეტრი ბეტონი დასჭირდა, მთელ მის სიგრძეზე გაყვანილია მკვიდრი ფენილი ორმხრივი მოძრაობისათვის. ყოველი სამასი მეტრის შემდეგ მოწყობილია მოედნები ავტომანქანების მანევრირებისათვის და სადგომად. გვირაბი განათებულია ათასობით გაზნათურის მილებით, შას აქვს მრავალი საკენტილაციო სასვლელი და ორი გიგანტური ვენტილატორი ჰაერის განახლებისათვის.

სიგნალიზაცია შესაძლებელს გახდის ავტომატურად მოახდინონ მოძრაობის სიხშირის რეგულაცია. სიჩქარეა საათში 50-დან 70 კილომეტრამდე, მანქანებს შორის დისტანცია — არანაკლებ ასი მეტრისა. სპეციალური გადამწოდები გამონაბოლქვი გაზებით ჰაერის მოწამვლის ზომის შესახებ სიგნალებს გადასცემენ რეგულირების ცენტრებს, რომლებსაც შეუძლიათ ყოველ წუთს გააძლიერონ ვენტილაცია.

გვირაბის მეობებით ლიონი, ჟენევა, ტურინი და მილანი დაკავშირებული იქნებიან ერთმანეთთან მოხერხებული გზით წლის ყოველ დროს. გზა პარიზიდან რომამდე 200 კილომეტრით შემოკლდება.

„ექსპრესი“. პარიზი.

ჩვენი მეგობრების ღიმილი



— ლენა, გენაცვალე, ახლავე მოვალ, მილიციელს მოვიყვან.

უსიტყვოდ.

ნახატები გერმანულ გაზეთ „ნოიეს ლებენ“ და ჟურნალ „მოზაიკიდან“

ხვადასხვა მერიდიანზე

△ **ხანძარი** მოედო სამ ნავთობსაცავს, რომლებიც ამერიკის ნავთობის კომპანია „ესოს“ ეკუთვნის. ეს კომპანია ნავთობს იღებს ლიბიაში. ხანძარი გამოიწვია დაყოვნებული მოქმედების ბომბის აფეთქებამ. სხვა აფეთქების შედეგად დაზიანდა მილსადენი, რომელიც ზღვის წყალს აწვდის ამავე კომპანიის ნელტეხის ნავთობსარეწებს. შეჩერებულია ნავთობის მიღება ლიბიის ამ ყველაზე დიდი სარეწებიდან.

△ **რანდინიე** დღეა კოიასპირულად წვიმს იაპონიის დასავლეთ რაიონებში. მეწყერისა და წყალდიდობის შედეგად შეწყდა სარკინიგზო და საავტომობილო მიმოსვლა სამანეს, იამაგუტისა და ხიროსიმის პრეფექტურებში. დაზიანდა ნათესების დიდი ფართობები, წყალმა წალეკა ბევრი საცხოვრებელი სახლი. არის მსხვერპლი.

△ **კონგოს** ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გვენე სუდანის დედაქალაქში ჩავიდა პრემიერ-მინისტრ მაჰჯუბის თხოვნით. ისინი განიხილავენ „მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან საკითხებს“. (საკდესი).

6 მილიონი დაპატიმრება

ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის მინისტრმა ნ. კატცენბახმა სენატში განაცხადა, რომ შარშან ამერიკის პოლიციამ 6 მილიონი დაპატიმრება მოახდინა.

მეორე სახლში თათბიროგენ

ვაშინგტონი, 24 ივლისი. (საკდესი). პრეზიდენტმა ჯონსონმა პენტაგონს გამოუგზავნა მისაცა დღეს და კვირას სპეციალურად შეისწავლოს დამატებითი ძალების საკითხი, რომლებიც შეიძლება დასჭირდეს ამერიკის სხვადასხვა გვაროვნობის ჯარს სამხრეთ ვიეტნამში, განაცხადა გუშინ თვითონ სახლის წარმომადგენელმა პრესა-საკითხებში ბილ მოიერსმა.

სამხრეთ ვიეტნამში შეიარაღებული ძალების გადიდების საკითხის „სპეციალური შესწავლის“ შესახებ გადაწყვეტილება გამორჩეულია რეკომენდაციებით, რომლებიც ჯონსონს მისცა საიგონიდან ახლახან დაბრუნებულმა თავდაცვის მინისტრმა მაკნამარამ და შეერთებული შტატების მთავრობის ხელმძღვანელ სამოქალაქო და სამხედრო პირთა იმ თათბირის რეკომენდაციებით, რომლებიც სამ დღეს მიმდინარეობდა თეთრ სახლში.

�ამართლებული კაცი

ლასლო ფელეკი,
უნგრელი მწერალი.

მთელი მსოფლიოს პრესამ გვაუწყა, რომ დასავლეთ ბერლინის სასამართლო პალატამ საქმე აღძრა ადოლფ ჰიტლერის წინააღმდეგ. მესამე იმპერიის ყოფილ რაიხსკანცლერსა და ფიურერს ბრალი ედება საერთაშორისო ხასიათის უმძიმეს დანაშაულში.

სასამართლო ინსტანციებში მომუშავე ნემი ერთგული მეგობრების წყალობით ბედი მეჭია გამეგო, თუ როგორ მიმდინარეობდა და რით დამთავრდა ჰიტლერის სასამართლო პროცესი.

ჰოდა, როგორც მოსალოდნელი იყო, ჰიტლერი გაამართლეს და თან დაადგინეს აუნაზღაურდეს მას მორალური და მატერიალური ზარალი. პროცესის დღეებში ბრალდებული. ცხადია, თავისუფალი იყო. სასამართლოს დრო: მან ფასიანი შვებულება მიიღო. მიუხედავად სახვითი ხელოვნების უმაღლეს სკოლაში. სადაც ამჟამად მუშაობს ლექტორად საათობრივ ანაზღაურებაზე.

უმძიმავი მოწმის დაკითხვისა და გულდაგინე სასამართლო გამოძიების შემდეგ პროკურორმა უარი გაიცა ბადა. მსჯავრის დადებაზე. სასამართლომ გაამართალა ბრალდებული და დაადგინა შემდეგი:

ბრალდებული იყო მშვიდობის მოყვარული და ეწყარად მოუწოდებდა დანარჩენ ქვეყნებს. უბრძოლველად და სისხლის უაზროდ. გადაეცათ მისთვის თავიანთი ტერიტორიები.

იგი გერმანელი კი არ იყო, არამედ ავსტრიელი და, როგორც მეზნებარე ავსტრიელმა პატრიოტმა, 1938 წელს ავსტრიას შეუერთა გერმანია.

1940 წელს საფრანგეთთან ერთად შექმნა „საერთო ბაზარი“ და ამ დროს უკვე მისთვის არასასიამოვნო იყო ის ამბავი, რომ ინგლისი ევროპის ეკონომიურ თანამშრომლობას ჩამოსცილდა.

მან ბევრი ტანჯვა-წამება გადაიტანა დანია-ნორვეგიის აგრესიის გამო და შემდეგ, როდესაც რუსები ვოლგის რაიონში მოულოდნელად და ავაზაკურად დაესხნენ თავს, გუნება წაუხდა. ისტერიკა დაემართა და ამ ხნიდან მოყოლებული მეტწილ დროს ევა ბრაუნზე ჩრუნგას უთმობდა.

იგი არ განიცდიდის სინდისის ქენჯნას ეგრეთწოდებული ნაცისტური დანაშაულის გამო. კაცობრიობის წინაშე. რადგან იგი მხოლოდ და მხოლოდ ბრძანებებს იძლეოდა. ამას ეჭვიც კი არ ეპარებოდა, რომ ამ ბრძანებებს ვიღაც ასრულებდა. მაგრამ კითხვაზე — იცოდა თუ არა რამე საშინელ მხეცობათა შესახებ, ბრალდებულმა წარილა ხმით უპასუხა: „არა!“. „ო, როგორ მწყინს, — დასძინა ბოლოს, — რომ ჰიმლერი გულწრფელი არ ყოფილა ჩემთან. მე მისგან ამას არ მოველოდი“.

სასამართლომ დაადგინა, რომ ომის დასასრულს ჰიტლერი მონაწილეობდა იატაკქვეშ არსებულ, ანტიჰიტლერულ მოძრაობაში. ომის შემდეგ ეწეოდა მშვიდობიან ცხოვრებას, პოლიტიკას არ მისდევ

«კომუნისტის» ინტერვიუ

მეორედ ლენინის ქალაქში

გასტროლები მნიშვნელოვანი მოვლენაა ყოველი თეატრის შემოქმედებით ცხოვრებაში, მის ისტორიაში. ეს არის თეატრის კოლექტივის მიერ მთელ სეზონში გაწეული შრომის ანგარიში, ხარგებლობის მომცემი გამოცდა, რომელიც დროსაც შემფასებელი და მსჯავრის გამომტანი უკვე ცნობილი და შეჩვეული მაყურებელი კი არ არის, არამედ თითქმის ძირითადად უცნობი საზოგადოებრიობის მომთხოვნი და კრიტიკული თვალია, განსხვავებული გემოვნება და ავ-კარგიანობის ახალი ნაზომია.

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის კოლექტივი ყოველთვის ასეთი სულისკვეთებით ემზადებოდა ხოლმე გასტროლებისათვის. ასეა ამჟამადაც. როცა ჩვენს თეატრს ლენინგრადის მაყურებელი ელოდება. წლევანდელი გასტროლებისადმი განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ერთიორად აორკეცებს ის გარემოება, რომ გამოვდიგართ სწორედ ლენინგრადში, ქალაქში, რომელიც ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი კულტურული ცენტრია, სადაც უმდიდრესი თეატრალური ტრადიციები არსებობს, ქალაქში, რომლის მაყურებლის გულის მოგება მხოლოდ ნამდვილი, მაღალი ხელოვნებით შეიძლება.

ვიდრე თეატრის გასტროლებზე ვილაპარაკებდე, მინდა ორიოდე სიტყვით გავიხსენო განვლილი სეზონი, დიახ, მხოლოდ ორიოდე სიტყვით. მე მგონი იგი ურიგო და უინტერესო არ იყო არც ჩვენი მაყურებლისათვის და არც თვით თეატრის კოლექტივისათვის.

გასულ თეატრალურ სეზონში თბილისის სცენაზე პირველად განხორციელდა პუჩინის კომიკური ოპერის „ჯანი სკიკის“ დადგმა. ამას გარდა წარმოდგენილ იქნა ახალი, მთლიანად განახლებული და კაპიტალურად აღდგენილი სპექტაკლები — პ. ჩაიკოვსკის „პიკის ქალი“, ო. თაქთაქიშვილის „მინდია“, გ. კილაძის „სინათლე“, ა. ბალანჩივაძის „მწერი“, ვ. გოკიელის „ბროლის ქოში“. ხოლო სეზონის უკანასკნელ პრემიერად ვაჩვენეთ გენიალური ავსტრიელი კომპოზიტორის მოცარტის ოპერა „დონ-უანი“ (დირიჟორი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ჯ. კახიძე, დადგმული — რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ე. პასინკოვი).

თბილისელმა მაყურებელმა ჩვენი თეატრის სპექტაკლებში ნახა საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ვოკალური და ქორეოგრაფიული ხელოვნების ცნობილი ოსტატები. ამასთანავე ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის სხვადასხვა ქალაქში იყვნენ თბილისის თეატრის წამყვანი მსახიობები.

ახალ სპექტაკლებთან ერთად, ცხადია, რეპერტუარში გვქონდა გასული წლების საუკეთესო დადგმები... ასე რომ, მე მგონია, მაყურებლები უკმაყოფილონი არ უნდა გვყავდნენ.

ლენინგრადში გასტროლები იხსნება ხვალ, 25 ივლისს, ს. კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობაში. ამ სცენაზე სპექტაკლები გვქონდა 7 აგვისტოდან 7 სექტემბრამდე გასტროლები გაგრძელდება ლენინოვეტის სახელობის კულტურის სასახლის სცენაზე. საჭიროა აღინიშნოს, რომ ჩვენი ქვეყნის სახელგანთქმული თეატრის — ს. კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე ჩვენი კოლექტივი პირველად გამოვა. რადგან, როგორც ცნობილია, ლენინგრადში პირველი გასტროლები (1962 წელს) ლენინოვეტის სახელობის კულტურის სასახლეში ჩატარდა.

დამკვიდრებული ტრადიციით გასტროლები გაიხსნება ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისით“. მეორე სპექტაკლად დანიშნულია ალ. მაჭავარიანის ბალეტი „ოტელო“. გარდა ამ ორი სპექტაკლისა, საგასტროლო რეპერტუარში გვაქვს ოპერები — ო. თაქთაქიშვილის „მინდია“, ს. პროკოფიევის „სემონ კოტკო“, ვერდის „ტრუბადური“, პუჩინის „ტოსკა“, „ჯანი სკიკი“, მასკანის „სოფლის პატიოსნება“, დონიცეტის „ლუჩია დი ლამერმური“, გუნოს „ფაუსტი“ და მოცარტის „დონ-უანი“ (ეს ოპერა უკვე ათი წელია ლენინგრადში არ დადგმულა); ბალეტები — გრ. კილაძის „სინათლე“, ს. ცინცაძის „დემონი“, ბ. კვერნაძის „ქორეოგრაფიული ნოველები“, კრეინის „ლაურენსია“, მინკუსის „დონ-კიხოტი“, ადანის „ჟიზელი“.

რეპერტუარი ძირითადად ახალია. პირველი გასტროლების დროს ლენინგრადელებს ნანახი აქვთ მხოლოდ „დაისი“, „ოტელო“, „დემონი“ და „სოფლის პატიოსნება“.

გარდა ძირითადი სპექტაკლებისა, ლენინგრადის დიდ საწარმოებში გავმართავთ საშეფო კონცერტებს. 5 აგვისტოსათვის დანიშნულია საკონცერტო გამოსვლა ლენინგრადის ტელევიზიით. აქვე უნდა ითქვას, რომ ლენინგრადის ტელევიზიამ შეიხსიდა ჩვენი სპექტაკლები „სოფლის პატიოსნება“, „ჯანი სკიკი“ და „ლაურენსია“.

ლენინგრადში თეატრის კოლექტივი ჩამოვიდა სრული შემადგენლობით. ჩვენს „დელეგაციაში“ 380 კაცია.

დასასრულ საჭიროდ მიმაჩნია ალვნიშნო, რომ გასტროლები ლენინგრადში ჩვენი ინიციატივა როდია. წელს ჩვენი თეატრი ქ. როსტოვში უნდა წასულიყო. მაგრამ ეს გადაწყვეტილება შეიცვალა სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს დადგენილებით. ცნობილია, რომ თვით კიროვის სახელობის თეატრს გასტროლები აქვს მოსკოვში. საკავშირო კულტურის სამინისტრომ საჭიროდ ჩათვალა ლენინგრადში ამ ზაფხულზე, როცა იქ მრავალი საზღვარგარეთელი სტუმარი ჩამოდის, გაეგზავნა საბჭოთა კავშირის რომელიმე ძლიერი არჩევანი. ეს საპატიო არჩევანი, როგორც ხედავთ, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრს ხვდა.

ლენინგრადის გასტროლები ზ. ფალიაშვილის სახელობის თეატრს აკისრებს მნიშვნელოვან და საპატიო მისიას — გააცნოს ლენინგრადელ მაყურებელს საქართველოს საოპერო და ქორეოგრაფიული ხელოვნების, ქართული მუსიკალური კულტურის ახალი მონაპოვრები. ჩვენი თეატრის კოლექტივის თვითეული წევრი ლენინის ქალაქში ჩამოვიდა იმ განწყობილებით, რომ პირნათლად შეასრულოს ეს საპატიო მისია.

მოვიდა ახალი გაზეთი.

ფოტოტიუდი ვ. ყუშიტაშვილისა.

ახალი პეჯეჯი · ცროჯეჯი

გ. ა. ჯაბუა — ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი

საქართველო ს შ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტმა გიორგი ანდრიასაძე ჯაბუამ პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: **„ოთხგოლიანი სივრცითი მექანიზმების ანალიზური გამოკვლევა“.**

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა გ. ა. ჯაბუასათვის ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

უნივერსიტეტელები ჩეხოსლოვაკიაში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა თვითმოქმედი კოლექტივი საგასტროლოდ იმყოფება ჩეხოსლოვაკიაში. თბილისელმა სტუდენტებმა უკვე რამდენიმე კონცერტი გამართეს. განსაკუთრებული წარმატებით გამოვიდნენ ისინი ახალგაზრდობის ზეიმზე, რომელსაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები დაესწრნენ. ქართველმა სმიდერებმა და ცეკვებმა აღტაცებაში მოიყვანა შრავალრიცხოვანი მაყურებელი.

მოკლედ

● **ზესტაფონი.** (საკ. კორ.) **მშრომელთა უკეთ მომსახურების მიზნით** ზ დადიანის ქუჩაზე აიგო საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის ახალი ორსართულიანი შენობა. აქ არის ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის სამკერვალო საამქროები, ქიმიური წმენდის სახელოსნო და სხვ.

● „**ზღიზელი თვალი**“ — ასე ეწოდება საზოგადებრივი წესრიგის დაცვის ბოგდანოვკის სახალხო რაზმეულების შტაბის სატირულ გაზეთს, რომელიც ორ კვირაში ერთხელ გამოდის.

გაზეთი მოურიდებლად ამთარსებს საზოგადოების ხორცმეტებს, ყველა იმათ, ვინც არღვევს საზოგადებრივ წესრიგს.

ს. მოლიკიანი.

„ფოთი“ ფორეული ნაოსნოგიდან დაბრუნდა

ინდოეთის ოკეანიდან ფოთის ნავსადგურში დაბრუნდა საოკეანო თევზჭერის რესპუბლიკური სამმართველოს ტრაულერი „ფოთი“. ქართველ მებადურ-მეზღვაურთა სახელოვან ეკიპაჟს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს.

ტრაულერის კაპიტან-დირიჟორმა ი. გონჩაროვსკიმ და პირველმა თანაშემწემ პოლიტანაწილში ი. ფაციამ განაცხადეს:

—მთლიანად რეისზე შვიდი თვე დავყავით, ხოლო აქედან ხუთი თვე თევზის რეწვას მოვანდომეთ. ჩვენს ანგარიშზეა 24 ათასი ცენტნერი საუკეთესო ხარისხის თევზი. აქედან სახელმწიფოს გაყინული ჩაბარდა 16 ათასი ცენტნერი, ხოლო გადამუშავებით მიღებულია 1.420 ცენტნერი თევზის ფქვილი.

ერთხელ კიდევ უნდა შეგვეწყვალა ინდოეთის ოკეანის თევზჭერის რაიონის საწარმოო პირობები, შეგვედგინა თევზის ქარავნების სადღეღამისო და წლიური მიგრაციის სურათი, დაგვუსტებინა წყლისა და ატმოსფეროს ტემპერატურული რეჟიმი, დინებათა სიჩქარე და მიმართულება. ეს ამოცანა ძირითადად შესრულებულია, და მომავალში ჩვენს ტრაულერებს საშუალება ექნებათ კიდევ უფრო ინტენსიურად აითვისონ ინდოეთის ოკეანის სარეწი რაიონები.

ვინ ისახელა თავი ამ თევზჭერაში?

რა თქმა უნდა, მთელმა ეკიპაჟმა, მაგრამ განსაკუთრებით ქებით იხსენიებენ მამაც მეზღვაურებს თ. მეფარიშვილს, გ. სურმავას, ე. კოკაიას, რ. თირქიას, მექანიკოსებს ვ. კოპინს, ვ. ივანიშვილს, მოტორისტებს გ. ხარბედიას, გ. ჭუმბურიძეს და სხვებს.

ტრაულერი „ფოთი“ რამდენიმე ხნის შემდეგ კვლავ კურსს აიღებს შორეულ წყლებში სანაოსნოდ.

კ. კომახიძე.

* * *

სურათზე. ტრაულერი „ფოთი“ ფოთის ნავსადგურში შემოდის.

ფოტო ს. გავრილენკოსი.

ბოროჯმოქმედი და მისი მფარველები

ბასული წლის 23 ნოემბერს თბილისში შებინდებისას ქეთევან გულიაშვილი თავის გოგონასთან — იასთან ხელიხელჩაკიდებული მიაკვლებოდა გორგასალის ქუჩას. დედა და შვილი გადასასვლელთან შეჩერდნენ. მიმოიხედეს და როცა დარწმუნდნენ, რომ გზა თავისუფალი იყო, სწრაფი ნაბიჯით იწყეს ქუჩის გადაჭრა. გადასასვლელის შუა ნაწილამდეც არ იყვნენ მისულნი, რომ უცებ შენიშნეს: მათკენ დიდი სისწრაფით მოქროდა მსუბუქი ავტომანქანა.

დედამ შვილს ხელი უფრო მაგრად ჩაკიდა და წინ გაიგდო. მძღოლმა კი იმის ნაცვლად, რომ მანქანის სვლა როგორმე შეენელებინა, სიჩქარეს უმატა და პირდაპირ დედა-შვილს დაუჯახა. ჯერ ჰაერში აისროლა და შემდეგ რამდენიმე მეტრის მანძილზე ასრიალა უბედური დედა. პატარა ია კი მანქანის ფრთამ ქვაფენილზე გადააგდო.

ავტომანქანა წუთით დამუხრუჭდა, მძღოლმა ერთი კი გადახედა თავის ნამოქმედარს და შემდეგ თვალის დახამამებაში გაქრა.

— გააჩერე მანქანა, შე უნამუსო! წავიყვანოთ ეს საცოდავი დედა-შვილი საავადმყოფოში. იქნებ გადარჩნენ. — გასძახა მანქანის მძღოლს ერთმა მოქალაქემ.

— ნომერი, მანქანის ნომერი მაინც ჩაიწერეთ, ხალხო. ჩქარა, თორემ თვალს მიეფარება მკვლელი. — გაიძახოდნენ შემთხვევის ადგილზე მყოფნი.

ჭიღაცამ ფანქარი ამოიღო და მთასწრო გაზეთის ქაღალდზე დაეწერა: გრხ-64-70 „ოლგა“ კაკაოს ფერი.

დედა და შვილი უგრძნობლად ეყარნენ ასფალტიდან 20-22 მეტრის დაშორებით. ერთი მამაკაცი გაიქცა და ტელეფონით მილიციას და სასწრაფო დახმარებას გამოუძახა. ვიღაცამ გზად მიმავალი მანქანა გააჩერა. დაზარალებულები საავადმყოფოში წაიყვანეს

დედას ვერაფერი უშველეს. მან საოპერაციო მაგიდაზე დალია სული. მხოლოდ ბავშვი გადარჩა.

შემთხვევის ადგილას ზალე გამოცხადნენ მორიგე ავტოინსპექტორი და გამომძიებელი, რომლებმაც დაათვალიერეს შემთხვევის ადგილი უბედური შემთხვევის მოწმეებმა მათ იქვე გადასცეს გაზეთის ნახევი, რომელზეც ჯარაკვევით ეწერა მანქანის ნომერი: ერთადერთი ნომერი — **გრხ-64-70.** შემდეგ კი რატომღაც ავტოინსპექტორის ჩანაწერებში მანქანის სხვა ნომრებიც გაჩნდა. ხედავთ? ძიებაში არეულ-დარეულის შესატანად მაშინვე ჩაერია ვიღაცის „მოწყალე“ ხელი!

მაგრამ ბოროტმოქმედის კვალი ძირითადად იცით რამე?..

მიგნებული იყო. ახლა მთავარი იყო ხელი არ გაეშვათ ძიების ძაფისათვის და ბოლომდე მიეყოლოდნენ მას.

მანქანა „ვოლგა“ გრხ 64-70-ის მფლობელი აღმოჩნდა ვინმე გურამ აბაშიძე. იგი შინ არ იყო. შემდეგ ტელეფონით დაურეკეს. ყურმილი ცოლმა აიღო.

— სად არის გურამი?

— შინ არ გახლავთ, — უპასუხა ცოლმა.

— მანქანა „ვოლგა“ **გრხ 64-70** თქვენ გეკუთვნით?

— არა, ჩვენ არა გვაქვს მანქანა, — უპასუხა ქალმა.

ამ დროს ყურმილში გაისმა ვიღაცის კარნახი.

— ბოდიში, ბატონო, დიახ, ჩვენ გვაქვს მანქანა „ვოლგა“. ჩემი ქმრისაა. დასახელებული ხომრის მანქანა, — კარნახის შემდეგ გადათქვა თავისი სიტყვა გ. აბაშიძის ცოლმა.

— სად არის თქვენი მეუღლე?

— ჯერ არ მოსულა.

— გადაეცით, რომ მოსკოლისთანავე სასწრაფოდ გამოცხადდეს მილიციის ქალაქის სამმართველოში, მორიგესთან.

ღამის 1-2 საათზე მილიციის სამმართველოში მართლაც გამოცხადდა გურამ აბაშიძე. იგი გაკვირვებული კითხულობს გამოძახების მიზეზს.

— თქვენია მანქანა „ვოლგა“ გრხ 64-70? — შეეკითხნენ მას.

— დიახ, ჩემია. რაშია საქმე?

— სად არის მანქანა?

— მანქანა გუშინწინ ჩემს ამხანაგს ვათხოვე თეიმურაზ ლაზიშვილს. იგი გუშინ დილით მაცეცხლაში წავიდა ჩემი მანქანით დასასვენებლად და სამკურნალოდ, — უპასუხა გ. აბაშიძემ.

ლაზიშვილების სახლს მილიციის მუშაკები ეწვივნენ და თეიმურაზი იკითხეს.

— თეზიკო კვირა დილას, ესე იგი 22 ნოემბრს მაცეცხლაში წავიდა რამდენიმე დღით დასასვენებლად, — უპასუხა დედამ

— **რით წავიდა, ხომ არ იცით?** — შეკითხა გამომძიებელი.

— არ ვიცი, რით წავიდა, ამაზე ჩემთვის არაფერი უთქვამს.

— მანქანით ხომ არა.

— ვერ გეტყვით. რაშია საქმე, ცუდი ხომ არაფერი მოსვლია? მითხარით, იქნებ

მაცეცხლაში სასწრაფოდ ტელეფონოგრამა გაიგზავნა, მაგრამ თ. ლაზიშვილის კვალს ვერ მიაგნეს.

25 ნოემბერს თ. ლაზიშვილის წერილი გამოჩნდა დედის სახელზე. შვილი იტყობინებოდა, მაცეცხლის ნაცვლად წყალტუბოში მოვეწყე „ცენტროსოიუზის“ სანატორიუმში.

გამომძიებელი გაიგზავნა წყალტუბოში. თ. ლაზიშვილი ადგილზე აღმოჩნდა, იგი შესანიშნავად მოწყობილიყო. გულდასმით შემოწმდა, თუ როდის გაფორმდა იგი სანატორიუმში. თ. ლაზიშვილის განცხადება სანატორიუმის მთავარი ექიმის სახელზე 22 ნოემბრით იყო დათარიღებული. ამავე თარიღით განცხადებაზე იყო წაწერილი სანატორიუმის მთავარი ექიმის ი. ღოღობერიძის რეზოლუცია: „23 ნოემბრიდან გაუფორმდეს საგზური და დაშვებულ იქნას სამკურნალოდ“. ბრძანების წიგნშიც თ. ლაზიშვილის სამკურნალოდ წყალტუბოში ჩასვლა 23 ნოემბრით იყო გაფორმებული. ეს თარიღი იყო აღნიშნული სარეგისტრაციო ჟურნალშიც, რომელსაც აწარმოებდა მედრეგისტრატორი დოდო ბედუკიძე.

მკურნალ ექიმს გიორგი გუბელაძესაც თ. ლაზიშვილის ავადმყოფობის ისტორია 23 რიცხვით ქონდა დაწყებული. საკურორტო რუკასაც ეს თარიღი ესვა. საბაბაზანო წიგნაკშიც აღნიშნული იყო, რომ 23 ნოემბრიდან იგი აბაზანებს სისტემატურად იღებდა. აბაშიისეულიც „ვოლგაც“ იქვე ეყენა. რომელსაც ავარიის რაიმე სერიოზული ნასახი კი არა, განაკაწრიც არ ემჩნეოდა.

ამას დაუმატეთ ისიც, რომ ორგანიზაციაში — საკონსტრუქტორო ბიუროში, სადაც თ. ლაზიშვილი მუშაობდა, ბრძანება მისი შვებულებაში გაშვების შესახებ 20 ნოემბრის თარიღით იყო გაფორმებული. თ. ლაზიშვილის განცხადებაც ამავე თარიღით იყო დაწერილი და შიგ წყალტუბოში წასვლის შესახებაც იყო აღნიშნული.

ერთი სიტყვით, ყველაფერი რიგზე იყო. თ. ლაზიშვილიც არხეინად გრძნობდა თავს.

მაშ ვინ მოკლა ქეთევან გულიაშვილი? ვისი მანქანა დაეჯახა დედა-შვილს?

მანქანა ნამდვილად იყო „ვოლგა“ გრხ 64-70. ამას დაბეჯითებით ამტკიცებდნენ მოწმეები. იმასაც კი ამბობდნენ, მანქანაში ოთხი კაცი იჯდა.

ვინ იყვნენ ისინი? ვინ მართავდა საჭეს? თუ ზემოჩამოთვლილ დოკუმენტებს დაეყრდნობით, თ. ლაზიშვილი ავარიის დღეს თბილისში სულაც არ ყოფილა. თბილისში ვერ იქნებოდა გ. აბაშიძის „ვოლგა“ გრხ 64-70-ც, რადგან წინადღით სწორედ ამ მანქანით გაეგზავნა ლაზიშვილი წყალტუბოში დასასვენებლად.

მაშ საიდან მოეულნდათ შემთხვევის ადგილას მყოფთ სწორედ ეს ნომერი, სწორედ ეს ფერი?

ვინ ტყუის, მოწმეები თუ თ. ლაზიშვილის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მთელი წყება?

უწინარეს ყოვლისა ან ამ კითხვებზე უნდა გაეცა პასუხი გამომძიებას.

და მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით პასუხისმგებელ პირთა მიერ ხელმოწერილი და ბეჭედასმული დოკუმენტები უფრო მტკიცე და ურყევი ჩანდა, ვიდრე მოწმეთა ჩვენება, გამომძიებამ მაინც შეძლო დაემტკიცებინა სიმართლე, შეძლო დაემტკიცებინა, რომ ყველა ეს დოკუმენტი შეთითხნილი და ყალბია

მთელი ეს სიყალბე გაკეთდა 1964 წლის 25 ნოემბერს ავარიის მოხდენინდან ორი დღის შემდეგ წყალტუბოში, სანატორიუმ „ცენტროსოიუზში“.

ამ გაფორმდა ყველა დოკუმენტი „დამსვენებელ“ თ. ლაზიშვილზე 23 ნოემბრის თარიღით. განცხადებაც შვებულებაში გასვლის შესახებ წყალტუბოში დაიწერა ძველი თარიღით. იგი სწორედ ისეთ ქაღალდზეა დაწერილი. რომელსაც ამავე სანატორიუმში იყენებენ და ამის მსგავსი ქაღალდი სულაც არ ჰქონია იმ დაწესებულებას, სადაც თ. ლაზიშვილი მუშაობდა.

სანატორიუმის სარეგისტრაციო ჟურნალის შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ თ. ლაზიშვილი გატარებულია იმ ავადმყოფების რიცხვში, რომლებიც 25 ნოემბერს არიან სანატორიუმში მოსულნი, მაგრამ რატომღაც ლაზიშვილს 23 ნოემბერი უწერია.

23 ნოემბრის ბრძანებაში მე-17 ავადმყოფად თ. ლაზიშვილია მიწერილი. სარეგისტრაციო ჟურნალი კი სხვას ამბობს. ასევე სალაროც, სადაც საგზურის ღირებულების შეტანა 25 ნოემბრის თარიღით არის აღნიშნული. ამ გარემოებას მედრეგისტრატორი დოდო ბედუკიძე და თვით თ. ლაზიშვილი იმით ხსნიდნენ, რომ მოლარე ადგილზე არ იყო. სინამდვილეში მოლარეს იმ დღეებში ადგილიდან ფეხი არ მოუცვლია.

ჯიუტობდნენ სანატორიუმ „ცენტროსოიუზის“ მუშაკები და უტიფრად გაიძახოდნენ, თ. ლაზიშვილი ნამდვილად 22 ნოემბრის ჩამოვიდა და ამ დღიდან აქ იმყოფებაო. და ამას ამტკიცებდნენ მთავარი ექიმი ი. ღოღობერიძე, მკურნალი ექიმი გ. გუბელაძე, ამ უკანასკნელის ძმა, სამნეო ნაწილის გამგე თ. გუბელაძე, მედრეგისტრატორი დოდო ბედუკიძე და თ. ლაზიშვილის მეგობარი თ. ლალიძე.

ბოროტმოქმედის მფარველებმა ერთ დღეს თავი მოიყარეს ი. ღოღობერიძის სახლში, ბჭობა გამართეს და დაადგინეს: არავითარ შემთხვევაში არ გამოტეხილიყვნენ, მართალია, გამომძიება მაგრად დგას, მაგრამ ვერაფერს გახდება, ყველაფერი კარგად არის ჩალაგებული, წყალი არ გაუვაო, — ინუგეშებდნენ თავს.

ერთ დღეს ბრძანების ჟურნალი თავიდან ბოლომდე გადაწერეს და თ. ლაზიშვილი, რომელიც ბოლოს იყო მიწერილი, შუა ადგილას მოაქციეს, რომ ეჭვი არავის აეღო. ჟურნალს ზონარი გაუყარეს და ბოლო გვერდზე დალუქეს. როცა ლუქის ბეჭედი ვერ ნახეს, მას მაურიანი დაარტყეს. არც ეს ამბავი დარჩა გამომძიებისათვის გამოურკვეველი.

ექსპერტიზამ ისიც დაადასტურა, რომ მანქანის ნაწილები შეცვლილი იყო იმავე ფერის სხვა მანქანის ნაწილებით, ამიტომ გარეგნული დათვალიერებით ადამიანი ვერაფერს შეატყობდა.

ბოლოს ბოროტებას მაინც ფარდა აეხადა. მკვლელი და მისი კვალის დამფარველები გამოვლინდნენ.

ვინ არის თეიმურაზ ლაზიშვილი, რომელიც ასე უსინდისოდ, ლაჩრულად, სულმდაბლურად მოიქცა? ჯერ დაეჯახა მანქანა ადამიანებს, ხოლო მერე იმის ნაცვლად, რომ დახმარებოდა სასიკვდილოდ განწირულთ და ამით ცოტათი მაინც გამოესყიდა დანაშაული, უმწეო მდგომარეობაში მიატოვა ისინი.

ვინ არის თ. ლაზიშვილი!? მისთვის რომ გეკითხათ, ჩვენი ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომადგენლად მოჰქონდა თავი. 1953 წლიდან საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტია და 12 წლის განმავლობაში მეექვსე კურსს ვერ გასცილებია. საკვირველია, ან კი ვინ აჩერებს ინსტიტუტში ასეთ სტუდენტს?

როგორც წესი, სტუდენტი, რომელიც დაუსწრებლად სწავლობს, უნდა მუშაობდეს. თ. ლაზიშვილს ამ თორმეტი წლის განმავლობაში 3-4 წელიც არ უმუშაავნია. ინსტიტუტში კი სამუშაო ადგილიდან ცნობებს სთხოვდნენ და ისიც ადვილად ყალბ ცნობებს. სხვადასხვა დროს მას ინსტიტუტში წარდგენილი აქვს თბილისის საქაჩაგი სადგურებისა და რეზერვუარების სამმართველოს, უსინათლოთა საზოგადოების პირველი სასწავლო საწარმოო კომბინატის, გეოლოგიური სამმართველოს საძიებო პარტიის ხელმძღვანელთა მიერ გაცემული ყალბი ცნობები.

თბილისის მე-15 და მე-12 პოლიკლინიკების მიერ გაცემული ყალბი დოკუმენტების საფუძველზე როგორც ავადმყოფი თ. ლაზიშვილი არაერთხელ იქნა განთავისუფლებული გამოცდებისაგან. მისცეს აკადემიური შვებულება. ასეთივე ყალბი ცნობების საფუძველზე განთავისუფლებულ იქნა საბჭოთა არმიის რიგებში გაწვევისაგან.

ასეთი ახალგაზრდისაგან კარგს რას უნდა მოელოდე! და აი, გათამამებულმა ბოლოს ასეთი ბოროტმოქმედებაც ჩაიდინა.

აქაც გამოუჩნდნენ თ. ლაზიშვილს ძიძები და მფარველები და ამჯერადაც მოინდომეს მისი გადარჩენა. მაგრამ ამაოდ. კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. სანატორიუმ „ცენტროსოიუზის“ მთავარი ექიმი ი. ღოღობერიძე, რომელიც ასე უსინდისოდ იქცეოდა დანაშაულის კვალის დასაფარავად, მოიხსნა სამუშაოდან და გაირიცხა პარტიიდან. რა თქმა უნდა, მართლმსაჯულება ღირსეულ სასჯელს მიუზღავს თ. ლაზიშვილს. მაგრამ არანაკლები ბრალი მიუძღვით იმათ, რომლებიც ცდილობდნენ ხელი შეეშალათ გამომძიებისათვის და ამ მიზნით ყოველგვარ ფალსიფიკაციას მიმართავდნენ.

ნ. ვასილიძე,
ზ. მესხიშვილი.

ამერიკელი კოსმონავტი ბორმანი

ბორმანი ... ეს ... ეს ... ეს